

ყველაზე დიდი სისულელე, რომელიც სააკაშვილმა ჩაიდინა

გაზეთი “კვირის ქრონიკა” – 4-10 იანვარი, № 1, 2010

ვინაიდან ჩვენ 2009-2010 წლების მიჯნაზე ვდგავართ და სამწუხაროდ ჯერ კიდევ არ ვიცით, ამ ხელისუფლების ხელში წინ რამდენი განსაცდელი გველოდება, მოდით, უკან გავიხედოთ და ორიოდ სიტყვით იმაზეც ვთქვათ, რა იყო გუშინ, ანუ უკვე განვლილ წელიწადში კარგი ან ცუდი. ამაზე „ქრონიკას“ ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი ლადო პაპაგა ესაუბრა.

– 2009 წელი კარგი ვერ იქნებოდა ვერანაირად, თუნდაც იმიტომ, რომ მისი წინამორბედი წელი იყო საკმაოდ მძიმე. 2008-ში იყო რუსული აგრესია, ამას მოჰყვა ამდენი იძულებით გადაადგილებული პირი, მათთვის საჭირო იყო ელემენტარული საცხოვრებელი პირობების შექმნა, კარგია თუ ცუდია ხარისხით, ეს სხვა საკითხია, ამას გარკვეული ხარჯები ჰქონდა. ამას დაემატა გლობალური ფინანსური კრიზისი, რომელიც მთელ მსოფლიოში გამძვინვარდა და ბუნებრივია, ფონი 2009 წლისთვის უკვე იყო ცუდი. შემდეგ, ამავე წელს განვითარდა წმინდა ქართული ეკონომიკური კრიზისი. პოლიტიკური თვალსაზრისით კი ეს იყო, ასე ვთქვათ, ძიების წელი, დღესაც ოპოზიცია ეძებს თავის ადგილს. როდესაც ოპოზიცია შეეცადა გაბრძოლებას, რათა ქვეყანაში რაღაცა შეცვლილიყო, სინამდვილეში მიაღწია ცვლილებას უარესობისკენ. თუ დავუკვირდებით, სიტყვის თავისუფლება დღეს კიდევ უფრო მეტად არის შეზღუდული, ხელისუფლებამ გააძლიერა პოლიტიკური ცინიზმი, დაქვეითებულია ნდობა ოპოზიციური პარტიის ლიდერებისადმი და საზოგადოებაში პრაქტიკულად ყველა მიმართულებით გაბატონდა ნიჰილიზმი. ამ ფონზე ხელისუფლება იყენებს მის ხელთ არსებულ ყველა საშუალებას, განსაკუთრებით ნაციონალურ არსებს და ეწევა გაუგონარ პიარს. სანამ ჩვენი ქვეყანა იქნება „ნაციონალური“ სენით შეპყრობილი, ეს პიარისტული გამოსტომები კიდევ მრავალი იქნება ჩვენს თავს. მთავარია, საზოგადოებას ეყოს იმის უნარი, რომ საღად გაიაზროს, რა მოხდა ეკონომიკაში, რა მოხდა პოლიტიკაში... ცხოვრება გრძელდება, ცხოვრება საამური, ვინც არ უნდა იყოს ხელისუფალი, რომელიც ცდილობს, რომ საკუთარ ხალხს გაუმწაროს

ცხოვრება, მაგრამ სიცოცხლე თავისთავად კარგი რამაა. ჩვენ მომავლის იმედით უნდა ვიყოთ, მე არა ვარ პესიმისტურად განწყობილი, თუმცა, გულახდილად რომ ვითხრათ, 2010 წელთან დაკავშირებით დიდი ოპტიმიზმის საფუძველი ნამდვილად არ მაქვს, ამაზე ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ეკონომიკური კრიზისი ჯერ არ არის განმუხტული, ეკონომიკური კრიზისიდან ქვეყანა არ არის გამოსული, მიუხედავად მაღალი თანამდებობის პირების განცხადებებისა. ზოგიერთი ხმამაღლა აცხადებს, კრიზისი დასრულდაო, ეს კიდევ ცალკე კურიოზია, რადგან ხელისუფლებას არასდროს არ უღიარებია, რომ საქართველოში ეკონომიკურ კრიზისს თავისი ეროვნული ფესვები აქვს, სულ იძახდნენ, ეს გლობალური კრიზისის გავლენააო. თუ ასეა, მაშინ ეს გლობალური კრიზისი არსად არ დასრულებულა და აქ რანაირად დასრულდა?

– ბატონო ლადო, დამისახელეთ ერთი კარგი საქმე, რომელიც სააკაშვილმა 2009 წელს გააკეთა.

– კი, არის ასეთი, 2009 წელს დანგრეული ეროვნული ბანკის აღდგენა განხორციელდა. მართალია, არა იმ ფორმატში, როგორც დანგრევამდე იყო, მაგრამ ის, რაც გააკეთა თავის დროზე გურგენიძემ, კიდევ დიდხანს დარჩება ქვეყანას როგორც მაგალითი არა უბრალოდ შეცდომისა, არამედ როგორც დანაშაულისა. აი, ეს გამოსწორდა, ანუ 2009 წელს ეროვნულმა ბანკმა შესძლო, ძველი დიდება თუ არა, გარკვეული ძალაუფლების კვლავ დაბრუნება და კანონის მიხედვით მაინც ის აღარ არის მთავრობაზე დამოკიდებული. მახსოვს, როცა 1995 წელს მსოფლიო ბანკის ფორმატით მიდიოდა დელეგაცია მოლაპარაკებაზე პარიზში, შევარდნაძემ ყველა გაუშვა, ნოდარ ჯავახიშვილი დატოვა, რადგან კანონი გადიოდა პარლამენტში და მეც მთხოვა დარჩენა, რომ მას პარლამენტში გვერდზე დავდგომოდი. ამ ბანკის შექმნაში მცირედი წვლილი მეც მიმიძღვის და ბუნებრივია, განვიცადე, როცა განადგურება დაუწყეს.

– კი, ბატონო, ერთი ტაში მიშას!

– არა, მე კიდევ ერთ ტაშსაც დავცხებ... მეორე ტაში ეკუთვნის იმის გამო, რომ ერთი რაღაცის გაფუჭება შეეძლო და არ გააფუჭა.

– ეგ კარგი მიგნებაა, მაგრამ ახლა რა ვქნათ, გავახსენოთ, რომ 2010 წელს გააფუჭოს?

– არა, არა... თქვენ იცით ჩემი დამოკიდებულება კახა ბენდუქიძის მიმართ...

– ისე, ბენდუქიძეც 2009-ში არ გაუშვა? კიდევ ერთი ტაში მიშას!

– არა, ვერ ვიტყვი, რომ კახა ბენდუქიძე გაშვებულია, ეგ ადამიანი საქართველოში რომც არ იყოს, ამას მნიშვნელობა არა აქვს... ბატონ სოსო ცისკარიშვილს დავესესხები, სანამ ამ ქვეყანაში “ბენდუნომიკა” არსებობს და პატარა “ბენდუკები” მთავრობის დერეფნებში იქნებიან, გაშვებულად ვერ ჩავთვლი. აქ უკვე ქსელია შეკრული ლეგალურიც და არალეგალურიც, ეს “მეტასტაზებივით” არის. ეხლა კი, რა შეიძლებოდა, გაეფუჭებინა სააკაშვილს და არ გააფუჭა? გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში თითქმის ყველა ქვეყნის მთავრობა შეიმუშავებს ანტიკრიზისულ პროგრამას, რომლის ერთ-ერთი მიმართულება არის ბიუჯეტიდან ფულის გამოყოფა მრეწველობის სხვადასხვა საწარმოების დასახმარებლად. ეს კეთდება ამერიკაში, ეს კეთდება რუსეთში, ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანსა და სომხეთში... აი, ეს არ გააკეთა მიხეილ სააკაშვილმა. ეს არის ძალიან კარგი და იცით, რატომ? მრეწველობა თავად უნდა გადარჩეს, ბიუჯეტში გადაიხადოს ფული და არა ჩვენ, გადამხდელებმა შევინახოთ გაკოტრებული მრეწველობა. პრაქტიკულად, იდეოლოგია, რომელიც მსოფლიოში არსად არ გამოიყენეს, გამოყენებული იქნა საქართველოში. შეიძლება ბევრმა ჩემი შეხედულება არ გაიზიაროს, მაგრამ ამ შემთხვევაში ტაშს ვუკრავ მიხეილ სააკაშვილს.

– არა, ცდებით, მაგას ეგონა, რომ ასე უფრო დააჩმორებდა მრეწველობას და ამიტომ არ გაიმეტა ფული, წუწურაქობით მოუვიდა. ისე, სად გვაქვს ჩვენ მრეწველობა, რა უნდა დაეფინანსებინა?

– ჰო, ეგეც კარგი შეკითხვაა.

– აგერ, ერთი თოფაძე გვყავდა და გუშინ ვნახე ტელევიზორში, კაცი პირდაპირ ტირიდა, იმდენი ვალები და საურავები დააკისრეს. არადა, ბოლო დროს სულ გაჩუმებული იყო, პოლიტიკურ განცხადებებს აღარ აკეთებდა.

– არა, ცოტ-ცოტა მაინც აკეთებდა. აქ არის ერთი ასეთი რამ, მე ნამდვილად არ ვიცი, „ყაზბეგში“ რა სიტუაციაა, მაგრამ ყოველთვის ვხედავ, საკმარისია, რომელიმე ბიზნესმენი გააქტიურდეს პოლიტიკუტი თვალსაზრისით, თავისი პოზიცია დააფიქსიროს, იმ წამსვე მას მარწუხებს წაუჭერენ ყელში. ერთ მაგალითს მოვიყვან: რამდენიმე დღის წინ ტელევიზიით მოვისმინე „აგერსის“

ხელმძღვანელის გამოსვლა, როცა პრეზიდენტმა დაადანაშაულა. გულწრფელად შემეცოდა, „აგერსის“ მეპატრონე ლაპარაკობდა, რომ თურმე ის არაფერ ცუდს არ აკეთებს, ტიროდა ხელისუფლების დასანახად და ტიროდა ხალხისათვის თავის შესაცოდებლად. ისიც თქვა, მე კანონი არ დამირღვევია, ფულს ვისაც მინდა, იმას მივცემო. რა თქმა უნდა, ახლა მიხეილ სააკაშვილი რომ დამარცხებულიყო და პრეზიდენტი ლევან გაჩეჩილაძე გამხდარიყო, შემდეგ საპარლამენტო არჩევნებში გაჩეჩილაძის პარტიას დააფინანსებდა. ასე რომ, ასეთი ბიზნესისთვის ეს არის დამახასიათებელი, კარგად გამოგეთ, არ მინდა, საწყენი იყოს, მაგრამ ზოგადად ბიზნესისთვის მოქალაქეობრივი სილაჩრეა დამახასიათებელი. ადამიანებს ფულის შოვნა უნდათ, ბიზნესი იმისაა, რომ ფული იშოვო, თუ კაცი მოქალაქეობრივად ლაჩარი არ იქნა, ავტორიტარულ სისტემაში წარმატებას ვერ მიაღწევს. ხოლო ის ბიზნესმენი, რომელიც მოქალაქეობრივ სითამამეს გამოიჩენს, ის შეიძლება აღმოჩნდეს პრობლემების წინაშე. თუნდაც თოფაძე, თუნდაც გავისხენოთ ბადრი პატარკაციშვილი...

– „აგერსის“ ხელმძღვანელს არც მოქალაქეობრივი სითამამე გამოუჩენია და არც ფული დაუშურებია, როგორც ვატიკო, ავტორიტარული რეჟიმის პირობებში შედეგი ყოველთვის ერთნაირია, თუ ეწინააღმდეგები, გაგანადგურებს, თუ ფულს აძლევ, ერთ დღესაც ვეღარ გააძღობ და მინც გაგანადგურებს.

– არა, სითამამის დროს შეიძლება შენი ბიზნესი საერთოდ განადგურდეს, ხოლო სილაჩრის დროს არსებობ, მაგრამ წურბელა გყავს და უნდა ნებით მოაწოვინო სისხლი. მოდით, ასე ვთქვათ, რაც პრეზიდენტმა ერთ-ერთი გლეხის ოჯახში გააკეთა, ეს იყო კურიოზი... ზის სააკაშვილი პენსიონერებთან (იქვე უზის ჯანდაცვის “ნაბია” მინისტრი), იძახის, ორი-სამი ფარმაცევტული კომპანია კონტროლდება პარლამენტიდან, გეგონება არ ვიცით, ვინ სხედან პარლამენტში და გეგონება ისინი „ნაციონალების“ მხარდაჭერით არ არიან იქ მოხვედრილები. “ნაბია” მინისტრი ზის გასუსული და სააკაშვილს თავს უქნევს. მეორე დღეს ვხედავთ, რომ როცა ჟურნალისტები მას ეკითხებიან, უკვე ჯანზე მოსული მინისტრი იძახის, არ არიან ეს ფირმები მონოპოლისტები იმიტომ, რომ ბაზრის 85 პროცენტს აკონტროლებენო. გადის კიდევ ერთი დღე და ვუყურებ „კავკასიას“, სადაც შეკრებილები არიან სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები, ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე იძახის, ეს არ არის მონოპოლიური სტრუქტურა, ფარმაცევტული კომპანიები 60 პროცენტს აკონტროლებენო. ესე იგი, რა გამოვიდა? პრეზიდენტის თანდასწრებით

მინისტრმა ვერ გაბედა ხმის ამოდება, პრეზიდენტის გარეშე თქვა, 85 პროცენტს აკონტროლებენო, ხოლო მესამე დღეს მისი მოადგილე 60 პროცენტზე ჩამოდის. ბოლო-ბოლო, გაგვაგებინეთ, რამდენ პროცენტს აკონტროლებს ეს სამი კომპანია? შემდეგ წავიდა სიტყვების თამაში, რადგან სამია, ეს ოლიგოპოლიაა, მონოპოლია არ არისო. მე მესმის, რომ მათ განათლება არა აქვთ, რაც საერთოდ არის დამახასიათებელი ჩვენი მთავრობისთვის, მაგრამ ისიც კი, ვინც ცოტაოდენი რაღაცა იცის, ცდილობს, რომ ხალხი შეცდომაში შეიყვანოს. ოლიგოპოლია არის მონოპოლიის ნაირსახეობა, ანუ როცა ბაზარზე არის 2-3 მსხვილი მოთამაშე და როცა მათ გაყოფილი აქვთ ბაზრის უდიდესი ნაწილი. ესე იგი, პრეზიდენტმა თქვა, მონოპოლია არისო და მერე მისივე ფრაქციის, მისივე მთავრობის წარმომადგენლები საჯაროდ ამტკიცებენ, მონოპოლია არ არსებობსო. ხშირად სააკაშვილს ახასიათებს, რომ რაღაცას იტყვის, ხოლო შემდეგ მისი გუნდი ეძებს რაღაც შემარბილებელ გარემოებებს.

– არა, როგორც ჩვეულებრივ მოქალაქეს, ამ შემთხვევაში მე მიჩნდება ეჭვი, რომ სააკაშვილის კრიტიკის შემდეგ მიაქვთ ფული და მეორე დღეს მისი გუნდი ცდილობს, სიტუაცია განმუხტოს, უკვე გარიგება წავიდა.

– კი, მე გეთანხმებით, ყველა სადად მოაზროვნე ადამიანს გაუჩნდება ასეთი ეჭვი. ახლა შეხედეთ ეკრანს, მიდის ასეთი რეკლამა: თურმე რომელიღაცა კომპანიამ ახალი კანონის თანახმად წამლები გააიაფა. თვითონ ქვეყანაში მონოპოლიური საქმიანობის რეგულირებას პრეზიდენტის განცხადებები კი არ სჭირდება, არამედ სჭირდება საკანონმდებლო ბაზა და შესაბამისი ინსტიტუტი. პრინციპში, ჩვენში ასეთი რაღაცები ხშირად ხდება, მე შეგახსენებთ, 2007 წლის ოქტომბერში გაიმართა მთავრობის სხდომა, მაშინ სააკაშვილმა აღშფოთება გამოხატა ბაზარზე მარილის მონოპოლიის გამო და შინაგან საქმეთა მინისტრმა თურმე განმუხტა სიტუაცია, საკუთარი რეზერვებიდან გაიტანა ბაზარზე. ამავე დროს პრეზიდენტმა დავალება მისცა, რომ შაქრის ბაზრისთვისაც მიეხედათ. თავისთავად ეს ხომ კურიოზია? ჯერ შინაგან საქმეთა სამინისტროს რა ესაქმება მარილთან და შაქართან? თუმცა ეს ყველაფერი ჩაიფარცხა იმიტომ, რომ მერე იყო 7 ნოემბერი. ახლა ამ წამლებთან დაკავშირებით გაჩნდა ასეთი მოსაზრება, რომ იყოს რეგულირებადი ფასები, მე ამისი სასტიკი წინააღმდეგი ვარ. თუ რომელიღაც ფასი უფრო დაბალია, ვიდრე რეალური ღირებულება, მაშინ ეს ნისნავს, რომ კომპანიამ სხვა წამალს უნდა მოუმატოს. ანუ, თუ არის ავადმყოფი, რომელიც ძვირადღირებულ წამალს ყიდულობს, ის უფრო მეტ

გასაჭირში ჩავარდება. ესენი აიაფებენ შედარებით ისედაც იაფ წამალს და უფრო აძვირებენ ძვირადღირებულს. ეს არ შეიძლება, ყველა ავადმყოფი ავადმყოფია. ამისთვის კანონია მისაღები, სადაც უნდა ჩაიწეროს: „კომპანიები, რომლებიც აწარმოებენ კვების პროდუქტებსა და წამლებს, არ შეიძლება, რომ იყვნენ პოლიტიკური პარტიების დამფინანსებლები“. შეიძლება ფირმებმა ახლა არალეგალურად დაიწყო „ნაციონალური მოძრაობის“ დაფინანსება, მაგრამ ამ შემთხვევაში მე ვლაპარაკობ კანონზე. ახლა ფარმაცევტულ ბაზარზე რამდენიმე ახალი ნიშანი გაჩნდა, თუ მათი ხვედრითი წილი გაიზრდება, მე მივესალმები, მაგრამ შემიძლია, ერთი მაგალითი გითხრათ: შევდივარ აფთიაქში, ამ სამიდან ერთ-ერთში, კომპანიას შეგნებულად არ ვასახელებ. რაღაც მარტივი მაწახეხებს, ვითხოვ დახმარებას, აფთიაქის თანამშრომელი მეუბნება, ამ წამალს გთავაზობთო. მერე უცებ მიყურებს და მეუბნება, არა, ბატონო ლადო, ბოდიშს ვიხდი, ეს თქვენნაირი ხალხისთვის არ არისო. ესე იგი, აფთიაქის თანამშრომელს კატეგორიულად აქვს დაზვიადებული, რა უნდა თქვას, მაგრამ როგორც კი მიცნო, ეტყობა, პატივს მცემს და სხვა, უცხოური წამალი შემომთავაზა. რას ჰქვია, ჩემნაირი და სხვისნაირი? კი, დიდი მადლობა, მაგრამ ვისაც ვერ იცნობ, იმას კლავ? რა, ეს მონოპოლია არ არის? მეტიც, ჩემი აზრით, ეს დანაშაულია.

– ბატონო ლადო, თქვენი გათვლებით 2010 წელი როგორი იქნება?

– 2010 წელი იქნება მძიმე... თუნდაც იმიტომ, რომ მაისში არის არჩევნები. ამ არჩევნებს სააკაშვილისთვის აქვს ძალიან დიდი დატვირთვა, აუცილებლად უნდა მოიგოს „ნაციონალურმა მოძრაობამ“, რათა კრიტიკულად განწყობილ საზოგადოებასაც კი გამოაცალოს საფუძველი იმის თქმის, რომ შარშან მიშამ თბილისი წააგო. ახლა აუცილებლად სჭირდება მოგება, რომ თქვას: თბილისიც ჩვენიაო! ამის შემდეგ უნდა ველოდოთ გაცილებით მეტ ცინიზმს, მეტ აგრესიას, მეტ სიძულვილს.

– მერე, შეიძლება, რომ ეს აგრესია და სიძულვილი გახდეს „ბუნტის“ საფუძველი?

– არაფერი გამორიცხული არ არის, მაგრამ მე ნამდვილად არ მინდა, რომ ჩემს ქვეყანაში მოხდეს მორიგი აჯანყება, ან რევოლუცია. ხვალ რომ ჩატარდეს არჩევნები, უგულავა გაიმარჯვებს, რეალურად გაიმარჯვებს. თუ საზოგადოება არ გააცნობიერებს, რა არის მომავალი და 10 ლარზე გაიყიდება, ამ ქვეყანას

არაფერი არ ეშველება. აი, ნახავთ, თბილისის მოგებით ხელისუფლება გახდება უფრო აგრესიული, სიძულვილის მუხტი იქნება უფრო დიდი. ჩვენ ხომ არაპროგნოზირებადი ხელისუფლება გვყავს? შეცდომები შეცდომებზე წავა, დღეს სააკაშვილი თბილისს მაინც ეფერება.

– იქნებ მოგების შემთხვევაში სააკაშვილს უფრო გამოუკეთდეს ხასიათი და აღარ აგვაფეთქოს?

– ამას წინათ სააკაშვილმა ასეთი რამე თქვა: 50-პროცენტთან ბარიერზე იმიტომ იბრძვის ოპოზიცია, რომ პირველ ტურში ალბათ ვერავინ ვერ გაიმარჯვებს და მთელი ხალხი ერთი კანდიდატის გარშემო ხელისუფლების მიმართ სიძულვილით გაერთიანდებაო. დიდი ბოდიში, მაგრამ ხალხის სიძულვილი ხელისუფლების მიმართ ვინ შექმნა? თვითონ შექმნა იმიტომ, რომ თვითონ მოქმედებდა სიძულვილით. ამისხენით, რას ერჩიან მერაბ ბერძენიშვილს, ჩვენს ერთ-ერთ უნიჭიერეს ხელოვანს? რას ერჩიან იმ მონუმენტს, რომელიც დაანგრიეს? ქართველებმა ხომ საკმაოდ დიდი წვლილი შევიტანეთ ფაშიზმის დამარცხებაში? მეტსაც გეტყვით, მე მოძრავი ცირკი გამიგია, მაგრამ მოძრავი პარლამენტი არა? ჩვენ მთავრობაც მოძრავი გაგვიხდა, გახსოვთ, ალბათ, რაიონებში პრეზენტაციებს რომ მართავდნენ, და პრეზიდენტიც მათთან ერთად რომ დადიოდა ქალაქ-ქალაქ. ეს ხომ კატასტროფაა? კარგი, მოდით, კარგი კუთხით შევხედოთ, შეიძლება ესენი ორსაფეხურიანი პარლამენტისთვის ემზადებიან, სადაც იქნება ქვედა პალატა და ზედა პალატა, ანუ ერთი იქნება ქუთაისში, მეორე თბილისში.

– არა, ეგრე ქვედა და ზედა არ გამოდის, ამ შემთხვევაში პარლამენტის შენობას უნდა დაადგან ზემოდან მანსარდი. თუ ერთი ქუთაისში იქნება, მაშინ გამოდის გარდიგარდმო.

– ჰო, მაშინ ასე უნდა ვთქვათ, აღმოსავლეთი პალატა და დასავლეთი პალატა. მოკლედ, სისულელეები არ გვაკლია, ახლა შევხედოთ ეკონომიკური თავისუფლების აქტს, ნეტა ეს რაღა ჯანდაბა და დოზანაა? თურმე ჩვენ რეფერენდუმებით უნდა ვარკვიოთ, მოიმატოს თუ არა გადასახადებმა. მოდით, ერთ კურორტულ ადგილს წავიკითხავთ ამ აქტიდან: „ღირსებას უზრუნველყოფილს შესაძლებლობების შეფასებაზე დაფუძნებულს სახელმწიფო დახმარებით მიზნობრივად მათთვის, ვინც სათანადოდ ვერ იყენებს თავის უფლებებს და შესაძლებლობებს“. ეს არის აქტი ეკონომიკური თავისუფლების

შესაძლებლობებისა და ღირსების შესახებ. ჯერ ერთი, ქართულზე არაფერს ვამბობ და მეორეც – რას ნიშნავს ეკონომიკური ღირსება? თურმე დახმარებას ვინც მიიღებს, ეს არის ღირსება, გამიგეთ? ვისაც არ შეუძლია, გამოიყენოს თავისუფლება და შესაძლებლობაო ეს მისი ღირსება არისო და იმას დავეხმარებითო.

– ესე იგი, თუ ადამიანი დებილია, დავეხმარებითო?

– აქ შეიძლება იგულისხმებიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, მაგრამ იმათ დახმარებას რანაირად ჰქვია ღირსება? ეს არის ტერმინოლოგიური პაროდია, თუმცა ჩვენი ცხოვრებაც ხომ პაროდიაა. ისე კი, რადგანაც ახალი წელი მოდის, მინდა, ქართველ ხალხს ვუთხრა, ჩვენ ამაზე ცუდი პერიოდებიც გვინახავს, მაგრამ გამოვსულვართ მდგომარეობიდან. მე არც ზედმეტი ოპტიმიზმი მახასიათებს, თუ დიდი ზარზემის საფუძველი არ გვაქვს, ნურც ნამეტანი გადავვარდებით პესიმიზმში, ალბათ დადგება დრო, როცა ყველაფერი კარგად იქნება.

– დაბოლოს, დამისახელოთ ყველაზე დიდი ეკონომიკური სისულელე, რომელიც სააკაშვილმა ჩაიდინა 2009 წელს.

– ამ მხრივ ძალიან საინტერესოა ანტიკრიზისული პროგრამა, ანუ რამდენიმე კომპონენტი: პირველი – სახაზინო ვალდებულებების გამოშვება, რომლითაც აიღე სესხი კომერციული ბანკებიდან. ჩემი აზრით, ეს დიდი შეცდომაა, პრაქტიკულად საბანკო სისტემას მოაკლდა საკრედიტო რესურსი, რომელსაც უნდა დაეკრედიტებინა იგივე ეკონომიკა. მეორე – შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ დიდ შეცდომად მიმაჩნია ძველი თბილისის განახლების პროექტი. თავისთავად იდეა ძალიან კარგია, მაგრამ ამ პროექტში მონაწილეობს ძალიან ბევრი რეალურად გაკოტრებული სამშენებლო კომპანია, რომელთა მიმართ გაკოტრების პროცედურა არ განხორციელებულა. არადა, ამ ფირმებს მიეცათ საშუალება, ისარგებლონ შეღავათიანი საბანკო კრედიტით, რომლის გარანტორი იქნება ქალაქ თბილისის მერია. აი, რაც არ გააკეთა მიშამ მრეწველობაში, აკეთებს მშენებლობაში.

გელა ზედელაშვილი